ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10.33/10/103

ქ. თბილისი

18 აგვისტო 2016 წელი

ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ქ.თბილისის ისნის რაიონის გამგეობა, გამგებლის ვახტანგ ქიზიყურაშვილის სახით, (შემდგომში წოდებული, როგორც "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „ჯეოლენდი" (შემდგომში წოდებული, როგორც "მიმწოდებელი"), მისი დირექტორის ზვიად ბეგლარიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

1.1. ხელშეკრულების საგანია რაიონის ბიუჯეტის სახსრებით, რაიონის რუქების მომზადება-შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;

1.2. CPV კოდი 22114300.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. ხელშეკრულების ობიექტია – 4 ცალი ისნის რაიონის რუკის (1 ცალი ისნის საუბნო სამსახური ვაზისუბანი მ. 1:5000 ფასი 50 ლარი, 1 ცალი ისნის საუბნო სამსახური ავლაბარი მ. 1:5000 ფასი 50 ლარი, 1 ცალი ისნის საუბნო სამსახური ნავთლუღი მ. 1:5000 ფასი 80 ლარი და 1 ცალი ისნის რაიონის რუკა მ. 1:5000 ფასი 40 ლარი) დამზადება.

3. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში;

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 220 (ორას ოცი) ლარს, დღგ-სა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღე;

4.2. მიწოდების ადგილი-ნავთლუღის ქუჩა №8-1, რაიონის გამგეობის შენობა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში;

6.2. მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება როგორც წესი მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის იურიდიულ მისამართზე;

6.3. ანაზღაურების ადგილი ქ.თბილისი.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე;

7.2. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

9. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

9.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

9.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

9.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორი ეგზემპლარი-შემსყიდველთან, ერთი ეგზემპლარი-მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

9.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები და ბეჭედი

შემსყიდველი:
ისნის რაიონის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1

ხაზინის ერთიანი ანგარიში

კოდი TRESGE22
საიდენტ. კოდი 208 204 959

გამგებელი

_____ ვ. ქიზიყურაშვილი

მიმწოდებელი:
შპს „ჯეოლენდი"
მის. ქ.თბილისი, ტელეგრაფის ჩიხი №3
სს „საქართველოს ბანკი"
ა/ა GE79 BG00 0000 0389 5930 01
კოდი BAGAGE22
საიდენტ. კოდი 204 447 394

დირექტორი

_____ ზ. ბეგლარიშვილი

204447394